აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 33

30/08/2016 წელი ქ. ბათუმი

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიების წარმომადგენლების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 38-ე მუხლის მე-9 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო ბლოკის „თოფაძემრეწველები, ჩვენი სამშობლო“ და მისი წარმომადგენლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ უსკოს თავმჯდომარის 2016 წლის 30 აგვისტოს N32 განკარგულების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. შეუწყდეთ უფლებამოსილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბლოკში „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ გაერთიანებული შემდეგი პარტიების წარმომადგენლებს:

ა) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ წარმომადგენელს - ეკატერინე გუგუშვილს;

ბ) მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ჩვენი სამშობლო“ წარმომადგენელს - ლაშა შუკაკიძეს.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე